სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!

მუშურ-გლეხური წითელი არმიის

მებრძოლი

ამიერკავკასიის ფრონტის წითელარმიული გაზეთი
Красноармейская газета Закавказского фронта „Боец РККА" на грузинском языке

№ 115 (229) | ხუთშაბათი, 19 ოქტომბერი | 1944 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა
უმაღლესი მთავარსარდლისა
გენერალ-პოლკოვნიკ პეტროვს

უკრაინის მე-4 ფრონტის ჯარებმა, რომელნიც შეტევას განაგრძობდნენ, გადალახეს **კარპატის ქედი**, დაიკავეს **ლუპკოვსკის, რუსკის, უჟოკის, ვერეცკის, ვიშკოვსკის, იაბლონიცის, ტატარსკის** უღელტეხილები და ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიის სიღრმეში წინ წაიწიეს 20-დან 50 კილომეტრამდე 275 კილომეტრ სიგრძის ფრონტზე.

შეტევის მსვლელობაში ფრონტის ჯარებმა დაიკავეს ჩეხოსლოვაკიის ქალაქები **კერეშმეზე (იასინა), რახოვი** და დიდი დასახლებული პუნქტები **ჩერტიჟნე, ველკა პოლიანა, რუსკე, ლიუტა, უჟოკი, ნიჟნი ვერეცკი, ზალომისკა, პილიპეცი, გოლიატინი, ტორუნა, ნადბოჩკო** და ჩრდილოეთ ტრანსილვანიაში დაიკავეს ქალაქი **სიგეტი**.

კარპატების გადალახვისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-პოლკოვნიკ **გრეჩკოს**, გენერალ-ლეიტენანტ **ჟურავლიოვის**, გენერალ-მაიორ **გასტილოვიჩის**, გენერალ-ლეიტენანტ **გორდეევის**, გენერალ-მაიორ **ლაზკოს**, გენერალ-მაიორ **მელნიკოვის**, გენერალ-მაიორ **აფონინის**, გენერალ-მაიორ **ვედენინის**, გენერალ-მაიორ **ბეჟკოს**, გენერალ-მაიორ **იანკოვსკის**, გენერალ-მაიორ **ლისინოვის**, გენერალ-მაიორ **პოდშივაილოვის**, გენერალ-მაიორ **ფროლოვის**, გენერალ-მაიორ **პროხოროვის**, გენერალ-მაიორ **დუდარევის**, გენერალ-მაიორ **კოლდუბოვის**, გენერალ-მაიორ **უმანსკის**, გენერალ-მაიორ **ფადეევის**, პოლკოვნიკ **დრიახლოვის**, პოლკოვნიკ **ბატლუკის**, პოლკოვნიკ **პახომოვის**, პოლკოვნიკ **ნოვოჟილოვის**, პოლკოვნიკ **ჟერდიენკოს**, პოლკოვნიკ **ჩორნის**, პოლკოვნიკ **უზრიუმოვის**, პოლკოვნიკ **ვასილიევის** ჯარებმა; არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ **კარიოფილის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **ბრიჩენოკის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **ნაიდენკოვის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **ტვერეცკის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **ჟიბურკუსის**, პოლკოვნიკ **შარაპოვის**, პოლკოვნიკ **იაკოვლევის**, პოლკოვნიკ **ბროზგოლის**, პოლკოვნიკ **ნიკიტინის**, პოლკოვნიკ **პონომარცევის**, პოდპოლკოვნიკ **ფილიმონოვის**, პოდპოლკოვნიკ **ზაიკინის**, პოდპოლკოვნიკ **სილაევის**, პოდპოლკოვნიკ **გორბატენკოს**, მაიორ **პისმეროვის**, მაიორ **კაზაკოვის**, პოდპოლკოვნიკ **ტერეხინის** არტილერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ **სოლოვიოვის**, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ **რაიკინის**, პოლკოვნიკ **სეროვის** ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ **ჟდანოვის**, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ **ნანეიშვილის**, ავიაციის გენერალ-მაიორ **გოლოვნიას**, ავიაციის გენერალ-მაიორ **კოტელნიკოვის**, ავიაციის გენერალ-მაიორ **ლაკეევის**, ავიაციის გენერალ-მაიორ **პუხოვის**, პოდპოლკოვნიკ **ეფრემოვის**, პოდპოლკოვნიკ **სერიკოვის** მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ **კოლესნიკოვის**, პოლკოვნიკ **დავიდენკოს**, პოლკოვნიკ **გოვოროვის**, პოლკოვნიკ **შურინის**, პოდპოლკოვნიკ **ნაუმოვის**, პოლკოვნიკ **ბარაშის** მესანგრეებმა; კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-ლეიტენანტ **მატვეევის** მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი **კარპატების** გადალახვისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „**კარპატის**" სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 18 ოქტომბერს, 22 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი **მოსკოვი** სამშობლოს სახელით ორას ოცდაოთხი ქვემეხის ოცი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს უკრაინის მე-4 ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც **კარპატები** გადალახეს.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის **მადლობას ვუცხადებ** თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ **კარპატების** გადალახვისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 18 ოქტომბერი.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
18 ოქტომბრის ოპერატიული ცნობა

18 ოქტომბრის განმავლობაში ქალაქ **იელგავის (მიტავის)** ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ჯარები შეტევით ბრძოლებს ეწეოდნენ, რომელთა მსვლელობაში გადალახეს მდინარე **ლიელუპე** და დაიკავეს დასახლებული პუნქტები **პიქსტნიეკი, ტემერი, ბრანტიუციემსი, კაიგუციემსი, ვალგუნტესციემსი, ზაილიში, მეჟამუიჟა, ვეგანი** და რკინიგზის სადგურები **ტემერი, ლივბერზე, ბუდასი**.

უკრაინის მე-4 ფრონტის ჯარებმა, რომელნიც შეტევას განაგრძობდნენ, გადალახეს კარპატების ქედი, დაიკავეს **ლუპკოვსკის, რუსკის, უჟოკის, ვერეცკის, ვიშკოვსკის, იაბლონიცის, ტატარსკის** უღელტეხილები და წინ წაიწიეს ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიის სიღრმეში 20-დან 50-მდე კილომეტრით 275 კილომეტრ სიგრძის ფრონტზე. შეტევის მსვლელობაში ფრონტის ჯარებმა დაიკავეს ჩეხოსლოვაკიის ქალაქები **კერეშმეზე (იასინა) რახოვი** და დიდი დასახლებული პუნქტები **ჩერტიჟნე, ველკა პოლიანა, რუსკე, ლიუტა, უჟოკი, ნიჟნი ვერეცკი, ზალომისკა, პილიპეცი, გოლიატინი, ტორუნა, ნადბოჩკო** და ჩრდილოეთ ტრანსილვანიაში დაიკავეს ქალაქი **სიგეტი**.

ჩრდილოეთ ტრანსილვანიაში ჩვენმა ჯარებმა, რომელნიც რუმინეთის ჯარებთან ერთად მოქმედებდნენ, დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის კვანძი **ვალეა-ლუი-მიხაი**, ქალაქი და რკინიგზის სადგური **სიმლეულ-სილვანიეი**, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 50-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **ოკნა-შუგატაგი**,

(დასასრული მე-4 გვ.)

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ბ. სტალინმა სადილი გამართა ბ-ნ უ. ჩერჩილისა და ბ-ნ ა. იდენის პატივსაცემად

18 ოქტომბერს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ბ. სტალინმა კრემლში სადილი გამართა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ბ-ნ უ. ჩერჩილისა და საგარეო საქმეთა მინისტრ ბ-ნ ა. იდენის პატივსაცემად.

სადილზე იყვნენ ბ-ნი უ. ჩერჩილი, ბ-ნი ა. იდენი, დიდი ბრიტანეთის ელჩი ბ-ნი ა. კ. კერი, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ბ-ნი ვ. ა. ჰარიმანი, კანადის ელჩი ბ-ნი დ. უილგრესი, ავსტრალიის დესპანი ბ-ნი დ. მალონეი, ახალი ზელანდიის დესპანი ბ-ნი ჩ. ბოსველი, ბრიტანეთის საიმპერიო გენერალური შტაბის უფროსი ფელდმარშალი ა. ბრუკი, გენერალი ჰ. ლ. ისმეი, ბრიტანეთის სამხედრო მისიის მეთაური გენერალ-ლეიტენანტი მ. ბაროუსი, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მისიის მეთაური გენერალ-მაიორი დ. დინი, დიდი ბრიტანეთის საელჩოს თანამშრომლები და ბ-ნ უ. ჩერჩილისა და ბ-ნ ა. იდენის თანმხლები პირები. საბჭოთა მხრივ იყვნენ ვ. მ. მოლოტოვი, მარშალი კ. ე. ვოროშილოვი, ა. ი. მიქოიანი, ლ. პ. ბერია, გ. მ. მალენკოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ნ. ა. ვოზნესენსკი, ა. ს. შჩერბაკოვი, ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის ელჩი დიდ ბრიტანეთში ფ. ტ. გუსევი, ფლოტის ადმირალი ნ. გ. კუზნეცოვი, ა. ი. შახურინი, ვ. ა. მალიშევი, ბ. ლ. ვანიკოვი, დ. ფ. უსტინოვი, ი. ტ. თევოსიანი, ა. ი. ვიშინსკი, ვ. გ. დეკანოზოვი, ს. ა. ლოზოვსკი, მ. მ. ლიტვინოვი, ი. მ. მაისკი, ავიაციის მთავარი მარშალი ა. ა. ნოვიკოვი, არტილერიის მთავარი მარშალი ნ. ნ. ვორონოვი, ჯავშანსატანკო ჯარების მარშალი ი. ნ. ფედორენკო, საინჟინრო ჯარების მარშალი მ. პ. ვორობიოვი, არმიის გენერალი ა. ი. ანტონოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატისა და თავდაცვის სახალხო კომისარიატის პასუხისმგებელი მუშაკები.

სადილმა ჩაიარა მეგობრულ ატმოსფეროში და საბჭოთა მოღვაწეებისა და სტუმრების გაცხოველებულ საუბარში.

მებრძოლო! გადმოიღე კარპატის გმირთა გამოცდილება

ჩვენი ფრონტის მეომრებს, რომელნიც დაუღალავად ეუფლებიან მთებში ბრძოლის ხელოვნებას, შეუძლიათ ბევრი რამ ისწავლონ, ბევრი რამ გადმოიღონ თავიანთი საბრძოლო სწავლებისათვის ფრონტელებისაგან, რომელნიც იბრძოდნენ კარპატებსა და ტრანსილვანიის ალპებში.

მებრძოლო! ყურადღება მიაპყარ ყოველივე იმას, რასაც გვიამბობენ მთებში ბრძოლის მონაწილენი და შენ გაიგებ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მთებში ბრძოლისათვის ბევრ ისეთ „წვრილმანს", რასაც ჩვენში ხშირად საჭირო ყურადღებას არ აქცევენ.

მთებში მოქმედება მოითხოვს განსაკუთრებულ ამტანობას, გამძლეობას, მთის რელიეფის სიძნელეთა გადალახვის უნარს. მთებში ყოველგვარი მანევრირებისა და გადასვლების არაჩვეულებრივ სიძნელეთა გადატანის დროს მებრძოლმა უნდა შეინარჩუნოს უნარი, რათა შეეძლოს ყოველ წუთს შეება მტერს ბრძოლაში. გამოცდილებამ ასწავლა საბჭოთა მეომრებს სწორად და მომჭირნეობით ხარჯონ თავისი ძალ-ღონე ფრიალო ფერდობებზე და ციცაბო კლდეებზე მოძრაობის დროს, გაუფრთხილდნენ და ოსტატურად გამოიყენონ იარაღი ბრძოლაში, ყოველთვის და ყველაფერში დაიცვან სასტიკი დისციპლინა.

ხშირად მებრძოლის მიერ ძალ-ღონის შენარჩუნებისათვის საჭიროა ერთი ყლუპი წყალი ან ამხანაგის მეგობრული დახმარება. უნდა შეეძლოს ლაშქრობის დროს წყლის შენახვა და ყოველთვის მზად იყოს დაეხმაროს ამხანაგს, ამავე დროს სრული იმედი ჰქონდეს, რომ გაჭირვების დროს ისიც დაეხმარება.

მთებში, სადაც ხმა დიდ მანძილზე ისმის, ხოლო ხილვადობა გაცილებით უკეთესია, ვიდრე ვაკე ადგილზე, — სიჩუმე და შენიღბვა მებრძოლის ერთგული მეგობრებია. ჩუმი და ფარული მოქმედება საშუალებას აძლევს მებრძოლს მოულოდნელად თავს დაესხას მტერს, მის განადგურებისათვის გამოიყენოს თავისი იარაღის მთელი ძალა. მებრძოლმა გამარჯვება უნდა მოიპოვოს მცირე ძალებით.

ყოველივე ეს ახალი არ არის, მაგრამ მათი ფასი ახლა ასჯერ მეტია. ეს იმიტომ, რომ მათი გამოყენებით საბჭოთა მეომრებს შეუძლიათ მოიპოვონ მტერზე ბრწყინვალე გამარჯვებები. ყოველივე ამას დიდი მნიშვნელობა აქვს კიდევ იმიტომ, რომ კარპატებსა და ტრანსილვანიის ალპებში ქვეითებს ხშირად უხდებათ დამოუკიდებლად, არტილერიისა და ჯარების სხვა გვარეობათა დაუხმარებლად მოქმედება. თვითეულ ქვეით ჯარისკაცს შეეძლო ჰქონოდა მხოლოდ თავის ძალ-ღონის, თავისი იარაღის იმედი. მიცოცავდა რა ციცაბო კლდეებზე, მას უნდა წაეღო ვაზნებისა და გრანატების საკმაო მარაგი, იგი უნდა დახმარებოდა ნაღმტყორცნელებს და მეტყვიამფრქვევეებს, თვითონ მას უნდა შეესრულებინა მესანგრისა და მზვერავის როლი, საომარი მასალაც მიეწოდებინა და სხვ. ქვეითი ჯარისკაცები ყოველ წუთს მზად უნდა ყოფილიყვნენ იერიშისა და თავდაცვისათვის, მტრის საჰაერო თავდასხმის მოგერიებისათვის, ფხიზლად უნდა შეესრულებინათ დაცვითი სამსახური მათთვის უცნობ ადგილმდებარეობაში.

ამ ამოცანის შესრულებამ მოითხოვა მამაც საბჭოთა ქვეითი ჯარისკაცებისაგან მთელი ძალ-ღონის დაძაბვა. მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში გამომჟღავნდა საბჭოთა ადამიანების ნებისყოფა, ენით გამოუთქმელი ამტანობა, ხერხი თავიანთი იარაღის გამოყენებაში. მტერი არასოდეს არ დაივიწყებს საბჭოთა ჯარისკაცების გამოჩენისთანავე მომხდარ შესანიშნავ ბრძოლებს გრანატებით, რომელთა გრგვინვა კარპატებში ვრცელდებოდა. და როგორი შესანიშნავი საქმეები ჩაიდინეს მთებში ჩვენმა მეტყვიამფრქვევეებმა, ნაღმტყორცნელებმა, ჯავშანმტვრეველებმა, სნაიპერებმა. ერთი მუჭა საბჭოთა გმირებმა მოამწყვდიეს მტრის ჯარები ხეობებსა და გზებზე, ცეცხლის ალში გაახვიეს ფაშისტთა ტანკები, სპობდნენ მტრის ცოცხალ ძალას. ყველა ამ შემთხვევაში ჩვენი მეომრები ოსტატურად იყენებდნენ მთის ადგილმდებარეობას. ტყე იფარავდა ჩვენს ჯარისკაცებს მტრის თვალთახედვიდან, კლდეები და ქვები ციხე-სიმაგრეებად გადაიქცნენ მებრძოლებისთვის, მთის ღრუბლიანობა შემტევ რაზმებს როგორც საფარი, ისე ემსახურებოდა, მთის გამოძახილს შეცდომაში შეჰყავდა მტერი და ეხმარებოდა ჩვენს მებრძოლებს გამოჩენილიყვნენ იქ, საიდანაც მტერი არ მოელოდა.

მაგრამ არა მარტო ქვეითმა ჯარმა შეიძინა მთებში საბრძოლო მოქმედების დიდი გამოცდილება. ბევრი ძვირფასი და სასარგებლო რამ ისწავლეს კარპატებსა და ტრანსილვანიის ალპებში აგრეთვე ჩვენმა არტილერისტებმა, ტანკისტებმა, მეკავშირეებმა, მესანგრეებმა და მფრინავებმა.

ჩვენი ფრონტის ყოველმა მეომარმა ყურადღებით უნდა შეისწავლოს ეს გამოცდილება, გაამდიდროს თავისი ცოდნა და უნარი მთებში ბრძოლისათვის, გაუსწორდეს მთებში ბრძოლის საუკეთესო ოსტატებს.

მაშინ, როდესაც ჩვენი ფრონტის ჯარებში კავკასიის ბრძოლების მონაწილეთ აბარებენ მედალს „კავკასიის დაცვისათვის", მთებში ბრძოლის მოწინავე გამოცდილების შესწავლა უნდა გადაიქცეს ამიერ-კავკასიის ფრონტის ნაწილების ერთ-ერთ საუკეთესო მეომრულ ტრადიციად.

ახალი მიღწევებისათვის ფიზიკურ მომზადებაში

სამხედრო საბჭოს წევრის გენერალ-მაიორ ამხ. ეფიმოვის მიერ სპარტაკიადის გახსნაზე წარმოთქმულ სიტყვიდან

ამხანაგო მებრძოლებო, სერჟანტებო და ოფიცრებო!

ამიერ-კავკასიის ფრონტის სამხედრო საბჭოს სახელით მოგესალმებით ამიერ-კავკასიის ფრონტის მე-19 სპარტაკიადის მონაწილეებს.

ჩვენ შევიკრიბენით საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის მეოთხე წელს, როდესაც წითელი არმიის ბრწყინვალე გამარჯვებებმა და გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა არმიების დამარცხებებმა აშკარად დაგვანახვეს, თუ ვის მხარეზეა დღეს სამხედრო უპირატესობა, რაც თვალსაჩინოდ ადასტურებს ამხანაგ სტალინის ისტორიულ სიტყვებს იმის შესახებ, რომ ომის მსვლელობაში ჩვენ მივაღწიეთ საფუძვლიან გარდატეხას ჩვენი ქვეყნის სასარგებლოდ და რომ ომი აქამდე დასასრულს უახლოვდება.

მოავლდება საბჭოთა წმიდა მიწა-წყლის სრული გათავისუფლება ფაშისტურ უწმინდურებისაგან.

წითელი არმია ჩვენს მოკავშირეებთან ერთად რკინის რკალად გარს ერტყმის ფაშისტი მხეცის ბუნაგს — ჰიტლერულ გერმანიას. „გერმანიის ბედი გადაწყვეტილია. გერმანიამ ომი საბოლოოდ წააგო" (მოლოტოვი).

დიდმა სამამულო ომმა მთელი სიცხადით გვიჩვენა, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ მუშაობას, რომელიც ჩაატარა ჩვენმა სახელმწიფომ, პარტიამ და ბრძენმა დიდმა სტალინმა ჩვენი ქვეყნის მშრომელთა სამხედრო-ფიზიკური მომზადების დანერგვისა და განვითარების საქმეში.

ბოლშევიკების ბრძნული პარტია დაუღალავად ზრუნავდა ფიზკულტურული მოძრაობის ზრდისა და განვითარებისათვის, ამავე დროს იზიდავდა მასში საბჭოთა კავშირის მშრომელთა ფართო მასებს.

ფიზიკური მომზადება და სპორტი წითელ არმიაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს ჯარების საბრძოლო წვრთნისა და აღზრდის საქმეში; ფიზიკური მომზადება და სპორტი ავითარებენ ნებისყოფას, სიმტკიცეს, ამტანობას, სისწრაფეს, მამაცობასა და გამჭრიახობას, რომლის გარეშე არ შეიძლება გამოვზრდოთ შეუპოვარი მეომარი.

ჩვენი ფრონტის ჯარების საბრძოლო მომზადების სისტემაში ფიზკულტურა და სპორტი ყოველთვის პოულობდა სათანადო ადგილს და წლიდან-წლამდე სულ უკეთეს და უკეთეს [illegible]გებს იძლეოდა.

სპორტის ისეთი სახეები, როგორიც არის ფარიკაობა და ხელჩართული ბრძოლა, გრანატის ტყორცნა და ტანვარჯიში, ძალოსნობა და სპორტული თამაშობანი, მტკიცედ დამკვიდრდნენ ჯარების მომზადების სისტემაში.

ამიერ-კავკასიის ფრონტის ყველა მეომარი ამაყობს ჩვენი მეთხილამურეთა კოლექტივის წარმატებებით, რომელმაც 1944 წელს საკავშირო პირველობა მოიპოვა სამთო-სათხილამურო შეჯიბრებაში. ჩვენი ფრონტის სახელი ღირსეულად დაიცვა წითელი არმიის თბილისის სახლის კალათბურთელთა გუნდმა, რომელმაც მიმდინარე წელს სსრ კავშირის ჩემპიონის საპატიო წოდება მოიპოვა კალათბურთში.

ჩვენი ფრონტის გარედაც კარგად ცნობილია სპორტის დამსახურებული ოსტატის ლეიტენანტ კასიანოვის, სსრ კავშირის სპორტის ოსტატების — ათანელოვის, ლეიტენანტ ნიჟნიკაძისა და სხვათა სახელები.

ჩვენი ნაწილების ფიზიკური კულტურის საუკეთესო წარმომადგენლების მნიშვნელოვნად გაზრდილმა ოსტატობამ ხელი შეუწყო სპორტის სხვადასხვა სახეობათა ოსტატთა ახალი კადრების ზრდას.

ჩვენი ფრონტის შენაერთებში ჩატარებულმა სპარტაკიადებმა წამოსწიეს საუკეთესო სპორტული გუნდები—გამარჯვებული გუნდები, რომლებიც დღეს აქ ფრონტის მასშტაბით პირველობისათვის იბრძვიან.

სამხედრო საბჭო გამოსთქვამს რწმენას, რომ მე-19 სპარტაკიადა, რომელიც დღეს იხსნება, გვიჩვენებს ჩვენი ფრონტის ჯარების ფიზიკური მომზადების ახალ მიღწევებს და გაზრდის სპორტის ოსტატთა რიცხვს.

სამხედრო საბჭო დარწმუნებულია, რომ მე-19 სპარტაკიადა საფუძვლიანი და მნიშვნელოვანი სტიმული შეიქნება ფრონტის ნაწილებში მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის შემდგომი განვითარებისათვის და ხელს შეუწყობს იმ საბრძოლო მომზადების ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას, რომელნიც ამიერ-კავკასიის ფრონტს დაუსახა ჩვენმა ბელადმა და მასწავლებელმა უმაღლესმა მთავარსარდალმა საბჭოთა კავშირის მარშალმა ამხანაგმა სტალინმა.

გაუმარჯოს წითელი არმიის ფიზკულტურელებს!

გაუმარჯოს ფიზკულტურელთა საუკეთესო მეგობარს, გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე წითელი არმიის გამარჯვებათა სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს დიდ სტალინს!

სამხედრო-გამოყენებითი მრავალჭიდი

17 ოქტომბერს სინტეტიკურად და დამაჯერებლად ჩატარდა მაროლელი ოცეულების შეჯიბრება სამხედრო-გამოყენებით მრავალჭიდში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ შენაერთთა მაროლელი ოცეულები. მებრძოლებმა, სერჟანტებმა და ოფიცრებმა გვიჩვენეს მაღალი მხედრული მომზადება და გაწვრთნილობა. 25-კილომეტრიანი მარშის და 300-მეტრიანი საფრთხო ზოლის გადალახვა ოცეულებმა უმეტესობამ მოკლე დროში განახორციელა.

სტარტიდან პირველი გავიდა ლეიტენანტ ჭუხინკოვის ოცეული. ამ ოცეულის მებრძოლებმა მარში ორგანიზებულად ჩაატარეს, მაგრამ მათაც ჰქონდათ ცალკეული ნაკლოვანებანი, განსაკუთრებით საფრთხო ზოლის გადალახვის მომენტში.

კარგი მხედრული მომზადება გამოამჟღავნა ლეიტენანტ ლეჟნიაძის ოცეულმა, ოცეულმა რა მარშის დისციპლინას, მებრძოლები წინ მიიწევდნენ კომპაქტურად, წყობილებით. 18 კილომეტრის გავლის შემდეგ, ისინი სირბილით მიადგნენ სასროლო მიჯნებზე. აქაც წითელარმიელებმა მაღალი ორგანიზებულობა და საბრძოლო ოსტატობა გვიჩვენეს. მოძრავ სამიზნეებზე სროლის მომენტში ისინი მშვიდად, დროის ოსტატურად განაწილებით მოქმედებდნენ. 24 სამიზნიდან ოცეულმა 22 დაზიანა, წარმატებით გადალახა საფრთხო ზოლი და პირველი ადგილი პრეტენზენტი გახდა.

საუკეთესო შედეგი გვიჩვენა ლეიტენანტ ქამკამიძის ოცეულმა, აქ გამოვლინდა მებრძოლების გაწვრთნილობა და ორგანიზებულობა. სტარტიდან ოცეული უკანასკნელი გავიდა. წინ მოძრაობდა ლეიტენანტ შიტოვის ოცეული, რომელიც 30 წუთით ადრე გავიდა სტარტიდან. მაგრამ მე-17 კილომეტრზე ოფიცერ ქამკამიძის ოცეულმა გაუსწრო ლეიტენანტ შიტოვის ოცეულს და მოძრაობის დროს ჩაება ბრძოლაში. მებრძოლებმა საცეცხლე ზოლი ორგანიზებულად დაიკავეს. არ გასულა 5 წამიც, რომ თვითეულ მათგანს მიზანი გატენილი ჰქონდა და ელოდებოდა მიზნის გამოჩენას. სროლა საუკეთესოდ ჩატარდა, დაზიანებული იქნა ყველა მიზანი. განსაკუთრებით გამოიჩინეს სერჟანტებმა — ნატროშვილი, ვამეკიძე, ნიქოვანი, ქაჯაია, რიგითი მებრძოლები აგამალოვი, კუხიანიძე, ერაკუტაშვილი, ქვარია, პაპიაშვილი, გაბაშვილი და სხვები.

25-კილომეტრიანი მარში ოცეულმა განახორციელა 3 საათის და 36 წუთის განმავლობაში. 30 წუთიანი შესვენების შემდეგ მებრძოლები მხნედ მივიდნენ საფრთხო ზოლის სტარტთან. მათ სწრაფად გადალახეს 20-მეტრიანი ზოლი და გაქანდნენ ღობისაკენ, ეს იყო ყველაზე სერიოზული და ძნელი დაბრკოლება. მაგრამ აქაც არ ყოფილა შეფერხება, ოცეულმა საჯარიმო ქულების გარეშე 9 წუთისა და 22,5 წამის განმავლობაში გადალახა საფრთხო ზოლი.

ლეიტენანტ ქამკამიძის ოცეულმა გამოავლინა მაღალი საბრძოლო მომზადება და დამსახურებულად დაიკავა პირველი ადგილი.

უკრაინის I-ლი[illegible]ის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე გერმანელებმა ჩვენი ნაწილების წინააღმდეგ [illegible]ეს ახალი ზემძიმე ტანკები — „სამეფო ვეფხვები". საბჭოთა ჯარებმა 4 ტა[illegible]ისპეს და 8 ხელთ იგდეს. სურათზე: „სამეფო ვეფხვი", რომელიც ხელთ იგდეს ჩვენმა ჯარებმა.

მდინარე დუნაის ხეობაში

„სტალინსკი სოკოლის" კორესპონდენტი მოგვითხრობს შემდეგ საბრძოლო ეპიზოდს, რომელიც მოხდა იუგოსლავიის ტერიტორიაზე მდინარე დუნაის ხეობაში, სადაც რკინიგზის ხლუდეზე ძლიერი ბრძოლები სწარმოებდა. ამ რკინიგზის გასწვრივ მდებარეობენ დასაყრდენ პუნქტებად გადაქცეული სოფლები, რომელთა რკალიც თავდაცვის ძლიერ ხაზს შეადგენდა.

მაიორ ტილატნიკოვის ბატალიონი ლაშქრით ერთ სოფელს მიადგა და გადაწყვიტა შემოვლითი მანევრის საშუალებით, მეომრებმა ამოცანა წარმატებით შეასრულეს. მათ გზა გაიკვლიეს და განთიადისას მტრის ზურგში აღმოჩნდნენ. გერმანელებმა ეს შეამჩნიეს და კონტრიერიშზე გადმოვიდნენ, მაგრამ ლეიტენანტ ეზიკაშვილის ასეულმა კონტრიერიში მოიგერია და ძლიერი დარტყმით გარეკა გერმანელები სოფლიდან.

ახალი მიღწევებით ვხვდებით დიდი ოქტომბრის დღესასწაულს

★

მაღალი მაჩვენებლები

ნ ქვეგანაყოფის პირადი შემადგენლობა დიდი მონდომებით ემზადება, რათა ღირსეულად შეხვდეს დიდი ოქტომბრის 27 წლისთავს. ლენინის ოთახი მორთულია ახალი სურათებით, პლაკატებითა და ლოზუნგებით. მზადდება დიდი თარიღისადმი მიძღვნილი კედლის გაზეთის სპეციალური ნომერი.

დღესასწაულისათვის მზადების პერიოდში ჩვენთან მნიშვნელოვნად გაიზარდა საბრძოლო და პოლიტმომზადების ფრიადოსანთა რიცხვი. ამას წინათ ჩატარდა ყველა სახის იარაღის საკონტროლო სროლა. სროლაში მაღალი ოსტატობა გვიჩვენეს მებრძოლებმა ს. ოტრაბახიძემ, ლ. ტურაშვილმა, ე. ცოტნიაშვილმა და სხვ. ისინი კარგად ერკვეოდნენ მოცემულ ამოცანებში და ზუსტად იცავდნენ სროლის ყველა წესს.

მებრძოლთა ასეთი წარმატება ოფიცერთა და სერჟანტთა დაუღალავ მუშაობას უნდა მივაწეროთ. აქ სამხედრო დისციპლინა სანიმუშოდაა დაცული. მებრძოლები დაინტერესებულნი არიან, რომ რაც შეიძლება მეტი ცოდნა შეიძინონ.

საბრძოლო მომზადების ასეთი მაღალი მაჩვენებლებით ხვდება ოქტომბრის რევოლუციის დიად დღესასწაულს ნ ქვეგანაყოფის პირადი შემადგენლობა.

წითელარმიელი დ. ჯოჯუა

ს ა ს რ ო ლ ე თ ზ ე

ქვეგანაყოფი შაშხანის სროლის პირველ ვარჯიშს ასრულებდა. სროლის დაწყების წინ მეთაურმა მებრძოლებს დაწვრილებით განუმარტა ამოცანა, პრაქტიკულად უჩვენა მათ დამიზნების წესები.

პირველად ცეცხლის ზღუდესთან რიგითი მებრძოლი მუმლაძე მივიდა. იგი გულდასმით უმიზნებდა, სროლის დროს სუნთქვა შესწყვიტა და სასხლეტიც წესისდამიხედვით გამოსწია. მიუხედავად ამისა, მიზანი მაინც ვერ დააზიანა. რაშია საქმე? — გაიფიქრა მუმლაძემ და სირცხვილისაგან სახეზე სიწითლემ გადაჰკრა.

— დამიზნების დროს ყურადღება მიაქციე კორის წესიერად დაყენებას, — შენიშნა მეთაურმა მუმლაძეს. მებრძოლი მაშინვე მიხვდა თავის შეცდომას. მან კორის დაყენებისას მხედველობაში არ მიიღო ქარის მიმართულება. სასროლეთზე კი ქარი საკმაოდ ძლიერად ჰქროდა. დანარჩენი ვაზნების გასროლის დროს მუმლაძემ გაითვალისწინა თავისი შეცდომა, ამიტომაც მიზანი ზუსტად დააზიანა.

სროლის მაღალი ოსტატობა გვიჩვენეს აგრეთვე ეფრეიტორებმა შტაძემ და ატუაშვილმა.

უფროსი სერჟანტი ვ. შავიძე

მზრუნველი ზემდეგი

ზემდეგმა ვ. სარალიძემ ენერგიული მუშაობით ჩვენი ქვეგანაყოფის პირად შემადგენლობაში საერთო სიყვარული და ავტორიტეტი დაიმსახურა. პირველ ყოვლისა, იგი საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსანი და მაგალითის მიმცემია თვითეული წითელარმიელისათვის. ამხ. სარალიძეს უქმად დამჯდარს ვერ ნახავთ. მეცადინეობისათვის საჭირო ხელსაწყოებს წინა დღით იმარაგებს. მეცადინეობის პროცესში იგი ჩვენთან ერთად არის ველზე და ქვეგანაყოფის მეთაურს პრაქტიკულ დახმარებას უწევს ცალკეული ჩამორჩენილი მებრძოლების წვრთნაში.

სასიამოვნოა ქვეგანაყოფის საცხოვრებელ ბინაში შესვლა. აქ თვალში გეცემათ სისუფთავე და წესრიგი. ყველა ნივთს თავისი ადგილი აქვს მიჩენილი.

ქვეგანაყოფს აქვს სამეურნეო კუთხე. დილის შემოწმებაზე ამხ. სარალიძე ათვალიერებს თვითეული მებრძოლის ჩაცმულობას. იმ შემთხვევაში, თუ ვინმეს ტანსაცმელი შეკეთებას საჭიროებს, იგი დაუყოვნებლივ ღებულობს ზომებს.

ამჟამად ქვეგანაყოფი ენერგიულად ემზადება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავისათვის. სამზადისში აქტიურად მონაწილეობს ამხ. სარალიძე.

წითელარმიელი ი. ბეჟაძე.

არც ერთი წუთი ფუჭად არ დაიკარგოს

დილაადრიან, გაისმა თუ არა საყვირის ხმა, ათეულის მეთაური სერჟანტი ბეჟუაშვილი ელვის სისწრაფით წამოდგა ფეხზე. მისი ათეულის მებრძოლებიც ასეთივე მხედრული სისწრაფით წამოდგნენ და რამდენიმე წუთში მთელ ქვეგანაყოფთან ერთად დილის ვარჯიშის შესასრულებლად გაემართნენ.

— არც ერთი წუთი ფუჭად არ უნდა დაიკარგოს. — ასე ფიქრობს სერჟანტი ბეჟუაშვილი. მას ღრმად აქვს შეგნებული, რომ დრო ძვირფასია და სამხედრო ხელოვნების დასაუფლებლად საჭიროა მისი მაქსიმალურად გამოყენება.

ქვეგანაყოფი მზად იყო სამეცადინო ველზე გასასვლელად. ამხ. ბეჟუაშვილმა ერთხელ კიდევ შეამოწმა თავისი მებრძოლები. ყველა მათგანი მწყობრში იდგა. თან ჰქონდათ საბრძოლო საჭურველი. მებრძოლები მეთაურის ბრძანებას ელოდებოდნენ. გაისმა ქვეგანაყოფის მეთაურის ბრძანებაც და პირადი შემადგენლობა სამეცადინოდ წავიდა.

ამხ. ბეჟუაშვილმა კარგად იცის დღევანდელი მეცადინეობის თემა: „გაძლიერებული ასეული შეტევით ბრძოლაში". მისმა მებრძოლებმა ამას წინათ თავი გამოიჩინეს შეტევის ორგანიზაციულად ჩატარების საქმეში და იმედი ჰქონდა, რომ არც დღეს შეარცხვენდნენ.

აი, სამეცადინო ველიც.

ქვეგანაყოფის მეთაურმა — პირად შემადგენლობას საფუძვლიანად განაცხადა საბრძოლო ამოცანა. მეცადინეობის დაწყებისთანავე საცდად ჩანდა ის წესრიგი, დისციპლინა და მხედრული უნარი, რომელიც ამხ. ბეჟუაშვილის ათეულის მებრძოლებს ახასიათებს. ათეულის მეთაური სწორ და კონკრეტულ კომანდებს იძლევა. თითოეულ მებრძოლს დროზე მიუთითებს შემჩნეულ ნაკლს, იქვე უჩვენებს კიდეც, თუ როგორ უნდა გამოასწოროს იგი. მაგალითად, მებრძოლი ჯანაშია, რომელიც ჯერ კიდევ კარგად ვერ ჰფლობს ნიჩაბს, [illegible] ხვრელს სთხრიდა. ამხ. ბეჟუაშვილი მაშინვე მივიდა მასთან და პირადი მაგალითით უჩვენა, თუ როგორ უნდა ჩასანგრდეს.

— სანგარი დროზე უნდა გასთხარო, თორემ მტრის ტყვია წამოგეწევა, — აფრთხილებს ათეულის მეთაური ჯანაშიას. იგი ამ შემთხვევაშიაც მოაგონებს მებრძოლებს, თუ რა ძვირფასია დრო და რა გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს იგი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამ მეცადინეობაზეც ამხ. ბეჟუაშვილის ათეულის მებრძოლები მაღალი ორგანიზებულობით გამოირჩეოდნენ. ეს ორგანიზებულობა განსაკუთრებით გამოჩნდა მაშინ, როდესაც ქვეგანაყოფი შეტევაზე გადავიდა და „მოწინააღმდეგე" დასახლებული პუნქტიდან განდევნეს.

მეცადინეობა დამთავრდა. ათეულის მებრძოლებმა ფრიად შეფასებასთან ერთად ქვეგანაყოფის მეთაურის მადლობაც მიიღეს.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მებრძოლებმა მამისაშვილმა, ხაჩიძემ და სხვ.

სამეცადინო საათების მაქსიმალური გამოყენება, წესრიგი, დისციპლინა და მაღალი [illegible]ებულობა ამხ. ბეჟუაშვილისათ[illegible]ოყვე კანონად გადაიქცა. ამის [illegible]მდეგ მისმა ათეულმა საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში მოწინავეობა დაიმკვიდრა.

სტ. არღუთელი.

როგორ ვისწავლე რუსული ენა

როცა წითელი არმიის რიგებში გამიწვიეს, მე რუსული ენა სრულებით არ ვიცოდი. ქვეგანაყოფში ჩემს გარდა 4 ქართველი იყო. მათ შორის მხოლოდ ერთს — მებრძოლ ე. ბუკიას შეეძლო რუსულად ლაპარაკი.

მეცადინეობა რუსულ ენაზე ტარდებოდა.

არც ერთი ჩვენთაგანი ენერგიას არ ზოგავდა, მაგრამ მაინც ჩამოვრჩებოდით რუს ამხანაგებს, რადგან ენის უცოდინარობის გამო გვიძნელდებოდა საგნის ათვისება.

განსაკუთრებით ჩამორჩენილი ვიყავით საცეცხლე მომზადებაში. დაზგის ტყვიამფრქვევი რთული საბრძოლო იარაღია. ვერ იქნა და ვერ დავიმახსოვრეთ მისი მატერიალური ნაწილის სახელწოდებები რუსულად.

ქვეგანაყოფის მეთაურმა გვირჩია ჩამოგვეყალიბებინა რუსული ენის შემსწავლელი ჯგუფი. ასეც მოვიქეცით. ჯგუფის ხელმძღვანელობა მებრძოლმა ბუკიამ იკისრა. დახმარება აღგვითქვეს რუს ამხანაგებმაც.

პირველ რიგში ყოველდღიურად საჭირო საგნების სახელწოდებებს ვსწავლობდით. ვმეცადინეობდით არა მარტო საღამოობით, არამედ მთელი დღის განმავლობაში — სამეცადინო ველზე, შესვენებისას და სადილის დროსაც კი. თითოეულ ჩვენთაგანს ყოველდღიურად 15-20 ახალი სიტყვა უნდა აეთვისებინა. ეს სიტყვები ქაღალდზე გვქონდა დაწერილი. ხშირად ვეკითხებოდით ერთმანეთს, ამავე დროს როცა მარტო ვიყავი, ჩუმად ვიზეპირებდი ყოველ სიტყვას.

შემდეგ შაშხანის მატერიალური ნაწილის შესწავლას მოვკიდეთ ხელი, ესეც წარმატებით დავძლიეთ. გზადაგზა კომანდებსაც ვიზეპირებდით. რაც დრო გადიოდა, მით უფრო გვიადვილდებოდა ენის დაძლევა. სიტყვებსაც შევეჩვია ყური. ბევრი სიტყვის მნიშვნელობა ჯერ კიდევ არ გვესმოდა, მაგრამ აზრით ვხვდებოდით, თუ რაზე იყო ლაპარაკი.

შემდეგ დაზგის ტყვიამფრქვევის მატერიალური ნაწილის შესწავლა დავიწყეთ. ეს მე ყველაზე ძნელად მეჩვენებოდა, მაგრამ, პირიქით, კარგად შევისწავლე.

რუსული წერა-კითხვა სკოლაში მქონდა ნასწავლი, მაგრამ ზოგიერთი ასოს დაწერა მავიწყდებოდა. მეცადინეობის პროცესში წერასა და კითხვაშიც ვვარჯიშობდით. ასე გაგრძელდა 6 თვეს. ჩვენი წარმატება თვალსაჩინო გახდა.

ამჟამად ჩვენ თავისუფლად ვკითხულობთ რუსულ გაზეთს. რუს ამხანაგებთან თავისუფლად ვსაუბრობთ. მეთაურის ბრძანებას სწრაფად და უშეცდომოდ ვიმეორებთ რუსულ ენაზე.

რა თქმა უნდა, ენის შესწავლა ერთი ხელის დაკვრით არ შეიძლება. აუცილებელია ბეჯითი, სისტემატური მუშაობა თავისთავზე. ჯარისკაცური ნებისყოფა აქაც დიდ დახმარებას გაგვიწევს. განა ჩვენ უკვე კარგად ვიცით რუსული ენა? რასაკვირველია, არა, მაგრამ, რაც მთავარია, დაძლეულია პირველი დაბრკოლება, გაკაფულია გზა. მომავალში ყოველდღიურად შეგვიძლია გავამდიდროთ ჩვენი ცოდნა.

რიგითი მებრძოლი ზ. ოთარიშვილი

რისთვის აღარ მწერ...

ო, ეს ბარათი ძველისძველია
ასე ნაზად რომ ვესათუთები.
დღენიადაგ ვშლი ორი წელია
და დღენიადაგ ვესაუბრები.

ყოველ გაშლისას ცეცხლად იალებს,
რა უცნაური ძალის მქონეა.
მასთან საუბარს არ ვიგვიანებ,
მარად ახალი იგი მგონია.

რისთვის აღარ მწერ ნეტავ ახალ
წიგნს,
აი ამ წიგნის თვალის ამხელი.
ეგებ არ გიხსნის, ტურფავ, დანა
კბილს,
რომ ვერსად ნახე ჩემი სახელი.

ეგებ გგონია, რომ მე, თვალშავავ,
ტივრში ამებნა შიშით გზა-კვალი?!
ო, გუშინდელი „პრავდა" გაშალე
და მნახავ მიჯნურს გმირის
ვარსკვლავით.

ანდრია სანი

იქ, მართლაც გული გულობდა

კავკასიისათვის ბრძოლებში ჩვენმა ხეობაში თავი ისახელეს ქართველმა მეომრებმა.

იმ ხანძრის შემდეგ ჩონგურმა
ყელი რომ გადმოიღერა,
ეს გული ჩადგა საგულეს,
ჩადგა და ასე იმღერა:

წინაპართ ნასისხლხორცალი
უკვალოდ არ ჩაძირულა.

გმირები მხეცებს ხოცავდნენ,
ხოცავდნენ, მოსპეს გმირულად.

წინ ჯარი მიგუგუნებდა
და მტრები ცეცხლში იწვოდნენ...
...იქ მართლა გული გულობდა,
იქ ვაჟკაცები იბრძოდნენ.

ეფრეიტორი ქ. აროსია

პროფ. ქ. ვ. ბაზილევიჩი



(გაგრძელება*)

რუმიანცევის სამხედრო-ორგანიზატორულმა და საბრძოლო მოღვაწეობამ უდიდესი გავლენა იქონია პოტიომკინზე და სუვოროვზე. **პოტიომკინი** არ იყო დიდი მხედართმთავარი, მაგრამ მას ახასიათებდა ბრწყინვალე ორგანიზატორული და ადმინისტრაციული ნიჭი, ადვილად ითვისებდა სასარგებლო აზრებსა და წამოწყებებს და სწრაფად ატარებდა მათ ცხოვრებაში. იგი წარმატებით სპობდა უცხოეთის წესებისათვის მავნე მიბაძვის ხაზებს, რომელნიც ანა ივანეს-ასულის მეფობის დროს, გერმანელ ოფიცერთა მაღალური გავლენის წლებში, ბილწავდნენ რუსეთის არმიის ნაციონალურ თვისებებს. ხელმძღვანელობდა რა პეტრეს სისტემით, პოტიომკინმა სწავლას საფუძვლად დაუდო საბრძოლო მოთხოვნები, რადგან არმიის ნამდვილ დანიშნულებას იგი ხედავდა ომში.

ამ შეხედულებათა შესაბამისად პოტიომკინმა შესცვალა რუსეთის არმიაში პრუსიული ტანსაცმლის მიბაძვით შემოღებული უვარგისი ფორმა. ერთერთ ბრძანებაში იგი სწერდა: „რუსეთში, როდესაც რეგულარობას აწესებდნენ, გაჩნდნენ უცხოელი ოფიცრები იმდროინდელი პედანტობით, ხოლო ჩვენებმა არ იცოდნენ რა სამხედრო საჭურვლის პირდაპირი დანიშნულება, ყველაფერს წმიდათა-წმიდად და იდუმალ საგნად სახავდნენ. მათ ეგონათ, რომ რეგულარობა გამოიხატება ნაწნავებში, ქუდებში, სარქვლებში, ყოშებში, თოფის ხმარების ილეთებში და სხვ. ასეთ აბდაუბდას ანდომებენ დროს და აქამდე არ იცნობენ ყველაზე მნიშვნელოვან საგნებს... ერთი სიტყვით, ჩვენი ჯარების ტანსაცმელი და ამუნიცია ისეთია, რომ ჯარისკაცის შესაწუხებლად უკეთესს მოგონება არ შეიძლება, მით უმეტეს, რომ გლეხობიდან გამოყვანილი ჯარისკაცი (თითქმის 30 წლის ასაკისა) ეცნობა ვიწრო ჩექმებს, უამრავ შესაკვრელებს, ვიწრო ქვედა ტანსაცმელს და მრავალ თავბრუდამხვევ ნივთებს. სამხედრო ტანსაცმლის სილამაზე მდგომარეობს იმაში, რომ იგი ამ ნივთების გამოყენების თანაბარი უნდა იყოს. ტანსაცმელი ჯარისკაცისათვის უნდა იყოს სამოსელი და არა მძიმე ტვირთი."

როდესაც გენერალმა პეტრე პანინმა ჩამოაყალიბა თავის დივიზიაში ეგერთა რაზმი, გაშლილი წყობილებით მოწინააღმდეგოსათვის ზუსტი ცეცხლის დასაშენად, პოტიომკინმა არა მარტო მოიწონა ეს ინიციატივა, არამედ, ისარგებლა რა პანინის გამოცდილებით, იგი შეუდგა განსაკუთრებულ ეგერთა ბატალიონების შექმნას. ეკატერინეს მეფობის უკანასკნელ წლებში მათი რიცხვი აყვანილი იქნა 43-დე. ეგერთა ჯარების გამოჩენა, რომლებიც იმ დროს არც ერთ ევროპულ არმიაში არ იყო, არსებითად ნიშნავდა **ახალ მიმართულებას ტაქტიკაში**—მსროლელთა ჯაჭვის გამოსვლას გაშლილ წყობილებაზე. ამ გზას სხვაზე ადრე, და ისიც 1791 წელს, დაადგა საფრანგეთი, ეგერთა ჯარებს ფართოდ იყენებდა ნაპოლეონი.

სუვოროვი რუსული სამხედრო დიდების ერთ-ერთი მწვერვალთაგანია. ახალი დროის სამხედრო ხელოვნების ისტორიაში იგი ერთადერთი მხედართმთავარია, რომელსაც არც ერთი ბრძოლა არ წაუგია.

სუვოროვი იყო არა მარტო გენიალური მხედართმთავარი, არამედ იგი იყო შესანიშნავი პედაგოგიც ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით. მან სამხედრო აღზრდის საკუთარი სისტემა შექმნა. მისი სისტემა ბევრად უფრო მაღლა იდგა XVIII საუკუნის ევროპაში გავრცელებულ სისტემაზე, რომელიც ეყრდნობოდა ფორმალურ დისციპლინას. სუვოროვისათვის ჯარისკაცი, პირველ ყოვლისა, იყო ადამიანი, რომელშიაც ბეჯითი და შეუპოვარი შრომით უნდა აღზრდილიყო მეომრისათვის საჭირო თვისებები — მამაცობა, მედგრობა, ამტანობა, ფიზიკური ძალა, ვაჟკაცობა, გამჭრიახობა, ინიციატივა. სუვოროვის გაგებით მამაცობა მდგომარეობდა არა მარტო საფრთხის არადჩაგდებაში, არამედ უშიშრად შეტევის ენერგიაში, მტერთან მიახლოვებისა და ხელჩართულ ბრძოლაში მისი ხიშტით განადგურების მისწრაფებაში.

სამხედრო აღზრდის სუვოროვული სისტემა ხასიათდებოდა ღრმა ნაციონალური თვისებებით. სუვოროვი ყოველთვის მოითხოვდა: „საქმით გვიჩვენე, რომ შენ რუსი ხარ." ნაციონალური ღირსების გრძნობა თავს იჩენდა როგორც სამშობლოსადმი თავდადების შეგნება.

სუვოროვული აღზრდის მეორე დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენდა ჯარისკაცში თავის მოვალეობისადმი შეგნებული დამოკიდებულების განვითარება: „თითოეულ ჯარისკაცს უნდა ესმოდეს თავისი მანევრი" და ეს სუვოროვული მოთხოვნა პრინციპულად განსხვავდებოდა პრუსიული სისტემისაგან, რომელიც ჯარისკაცის გაუპიროვნებას ახდენდა და მას სამხედრო მანქანის უსულო დამატებად ხდიდა. ამ მექანიზმის თითოეული ნაწილი წესიერად მოქმედებდა, ვიდრე არ დაირღვეოდა ამ ნაწილებს შორის ურთიერთი კავშირი და შეჭიდულობა. სუვოროველი ჯარისკაცი შესანიშნავად მოქმედებდა არა მარტო მასის შემადგენლობაში, არამედ, როგორც ინდივიდუალური მებრძოლიც. ეს თვისება აუცილებელი იყო სუვოროვის მიერ ახალი ტაქტიკის წარმატებით გამოყენებისათვის.

(გაგრძელება შემდეგ №-ში).

*) დასაწყისი იხ. № 110, 111, 112, 113, 114.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
18 ოქტომბრის ოპერატიული ცნობა
(დასასრული)

ზუგდიდი, კრიჟევცი, დამბრავიცა, ხიდიაგა ბირჩელ.დი სუსი, ურმენიში მირეშუ-მარე, ოდორხეი-სიმეში, სელეტინი, კილისარა, ბოკშა, ნუშფალეუ, ზალოუ-პეტრე, შიმიანი და რკინიგზის სადგურები ოკნა-შუგატაგი, ხიდიაგა, ფერსიგი, მირეშულ-მარე, ბენესატი, სილინდრუ.

ჩვენი ჯარები, რომლებიც იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებთან ერთად მოქმედებენ, კვლავ ეწეოდნენ ბრძოლებს ქალაქ ბელგრადის მტრისაგან გასაწმენდად. ქალაქ ბელგრადის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენი ჯარები გარშემორტყმულ გერმანელთა ნაწილების მნიშვნელოვან ჯგუფს და წარმატებით ბრძოლებს ეწეოდნენ მათ მოსასპობად.

ბულგარეთის ჯარებმა, რომლებიც იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებთან და ჩვენს ჯარებთან ერთად მოქმედებდნენ გერმანელთა წინააღმდეგ, ბრძოლებით დაიკავეს დიდი დასახლებული პუნქტები ბლაცე, კურშუმლე.

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ და ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა.

17 ოქტომბერს ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 58 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 29 თვითმფრინავი.

* *

ჩვენი ავიაცია თავს დაესხა რკინიგზის კვანძ გოლდაპს (აღმოსავლეთ-პრუსიაში).

17 ოქტომბერს ღამით ჩვენი შორს მოქმედების ავიაცია თავს დაესხა რკინიგზის კვანძ გოლდაპს (აღმოსავლეთ პრუსიაში).

თავდასხმის დროს რკინიგზის კვანძზე გერმანელთა ეშელონი იყო. დაბომბვის შედეგად გაჩნდა ხანძრები, განსაკუთრებით დიდი ხანძრები—კვანძის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. აფეთქდა ვაგონები, პლატფორმები და საწვავიანი ცისტერნები. მეტად ძლიერი აფეთქება ჩვენმა მფრინავებმა დაინახეს რკინიგზის კვანძის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში.

* *

ქალაქ იელგავის (მიტავის) ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ რიგის ყურის სანაპიროს გასწვრივ. მტერი შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევს, მაგრამ საბჭოთა ნაწილების დარტყმების გამო ზედიზედ ჰკარგავს პოზიციას. შეუპოვარი ბრძოლების შედეგად გერმანელები განდევნილი არიან გზების დიდმნიშვნელოვან კვანძ—დაბა ტუმერიდან. სხვა ჩვენმა ნაწილებმა გადალახეს მდინარე ლიელუპე. გერმანელებმა მთელი რიგი გაუთვრებული კონტრიერიშები მოიტანეს. საბჭოთა მებრძოლებმა სწრაფი დარტყმებით დაამარცხეს ჰიტლერელები და დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი მდინარის მარცხენა ნაპირზე. მოსპობილია მოწინააღმდეგის 800-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელთ ვიგდეთ გერმანელთა 4 ტანკი, 16 საველე ქვემეხი და საწყობი საინჟინრო ქონებიანად.

• • •

უკრაინის მე-4 ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევას აგითარებდნენ, გადალახეს კარპატის მთები და ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე შევიდნენ. თაბლონოვის უღელტეხილის რაიონში მოწინააღმდეგე, რომელიც ხანგრძლივ სიმაგრეებს ეყრდნობოდა, შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდა. გერმანელებმა მთის კალთებზე მოუყარეს თავი ძლიერ ცეცხლის საშუალებებს. ყველა გზა და ბილიკი დანაღმული და ჩახერგილი იყო. ჩვენმა მთიელთა რაზმებმა, რომლებიც მესანგრეებთან ერთად მოქმედებდნენ, გადალახეს ლობიოები მტრის თავდაცვის წინა ხაზებზე. შემდეგ ბრძოლაში ჩაებნენ ჩვენი ძირითადი ნაწილები. ფრონტიდან და ფლანგებიდან მძლავრი დარტყმებით საბჭოთა ნაწილებმა გაარღვიეს მოწინააღმდეგის თავდაცვა, ბრძოლით დაიკავეს ჩეხოსლოვაკიის ქალაქი და რკინიგზის სადგური ვეროშმენი (იასინი). ჩვენი ჯარები, რომლებიც შეტევას განაგრძობენ სამხრეთ-დასავლეთით, შეხვდნენ მოწინააღმდეგის სათადარიგო ნაწილებს, რომლებიც ახლახან მოიყვანეს. გერმანელები ეყრდნობოდნენ თავდაცვის მძლავრ კვანძებს, რომლებიც მდებარეობენ მდინარე ტისის ხეობის კარს. ჩვენმა ნაწილებმა გაბედული შემოვლითი მანევრი მოაწყეს მთებიდან. მათ გადალახეს მთის ქედი, შემოუარეს ბლინდაჟებს მთის და მიადგნენ მდინარე ტისას. საბჭოთა ნაწილებმა ზურგიდან შემოუარეს გერმანელთა დაზარებულ პუნქტებს და სწრაფი დარტყმით დაიკავეს ჩეხოსლოვაკიის ქალაქი რახოვი. ბრძოლების ამ უკანასკნელი სამი დღის განმავლობაში მოსპობილია რამდენიმე ათასი ჰიტლერელი. მარტო ერთ რაიონში ხელთ ვიგდეთ გერმანელთა 34 ქვემეხი, 200-ზე მეტი ტყვიამფრქვევი, 9 საწყობი საომარ მასალიანად და სხვადასხვა სამხედრო ქონებიანად. წამოყვანილია 500-ზე მეტი ტყვე.

• • •

ჩეხოსლოვაკიის მოსახლეობა დიდი სიხარულით და განსაკუთრებული თავაზიანობით ხვდება ჩვენს ჯარებს. მცხოვრებლები აცხადებენ, რომ ისინი უკვე დიდი ხანია ელოდნენ წითელი არმიის მისვლას, გზად მიმავალი ჩვენი მებრძოლებისათვის გულხვს გამოაქვთ ყვავილებით რძე, ხილი და ღვინო. სოფლებისა და ქალაქების მცხოვრებლები ამბობენ: ჩეხოსლოვაკიელი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს, რომ წითელი არმიის მებრძოლებმა გაათავისუფლეს იგი გერმანელ ფაშისტთა მონობისაგან. წითელმა არმიამ, — ამბობენ ისინი, — დაგვიბრუნა თავისუფლება, სიხარული და ბედნიერება.

• • •

ჩრდილოეთ ტრანსილვანიაში ჩვენი ჯარები, რუმინეთის ჯარებთან ერთად, ბრძოლებით მიიწევდნენ წინ. დაკავებულია დასახლებული პუნქტი დამბრავიცა, რომელიც 8 კილომეტრზე მდებარეობს ქალაქ ბაია-მარეს სამხრეთ-აღმოსავლეთით. ნ შენაერთის ნაწილებმა, რომლებიც მოქმედებენ სომეშულისა და ლაპუშულის შესართავში, გაბედული დარტყმით უკუაგდეს მოწინააღმდეგე. ჩვენმა სხვა ნაწილებმა იერიშით აიღეს ქალაქი სილეცისცა. გერმანელები და უნგრელები, რომლებიც საბჭოთა ჯარების დარტყმების გამო უკან იხევენ, გზებზე სტოვებენ დიდძალ იარაღს და სამხედრო მასალას. ერთი დღის ბრძოლების განმავლობაში სხვადასხვა უბნებზე ტყვედ წამოყვანილია 1,500-ზე მეტი გერმანელი და უნგრელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

• • •

ჩვენი ჯარები და იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილები განაგრძობდნენ ბრძოლებს ქალაქ ბელგრადის ქუჩებში. მოწინააღმდეგე, რომელიც განდევნილია ქალაქის უმეტესი ნაწილიდან, განაგრძობდა ცალკეულ რაიონებში და სასოწარკვეთილ წინააღმდეგობას უწევდა. საბჭოთა და იუგოსლაველთა მებრძოლების რაზმები არტილერისტებისა და ტანკისტების დახმარებით ახშობენ წინააღმდეგობის კერებს და გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებისაგან ათავისუფლებენ იუგოსლავიის დედაქალაქს. ქალაქ ბელგრადის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენი ჯარები გარშემორტყმენ გერმანელთა ჯარების მნიშვნელოვან ჯგუფს. საბჭოთა ნაწილებმა დუნაისთან მიიმწყვდიეს მტრის ეს ნაწილები და სპობენ მათ. არასრული ცნობებით, ბრძოლის ველზე დარჩა მტრის ჯარისკაცებისა და ოფიცრების 2,000-მდე გვამი. ხელთ ვიგდეთ რკინიგზის 5 ეშელონი, 5 საწყობი და 300-მდე ავტომანქანა. ტყვედ წამოყვანილია 1,100 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ჩვენმა მფრინავებმა წარმატებით თავდასხმა მოაწყეს მოწინააღმდეგის აეროდრომზე ქალაქ ნოვი-სადის რაიონში. დაბომბვის შედეგად აეროდრომზე დაიწვა გერმანელთა 10 თვითმფრინავი და 3 ანგარი.

• • •

წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის ნომალდებმა და ავიაციამ ფინეთის ნავსადგურში ჩაძირეს გერმანელთა ტანკერი და ორი ტრანსპორტი 18,000 ტონა საერთო წყალწყვით.

ქირურგი-ნოვატორი

მოსკოვი, 17 ოქტომბერი, (საქდეპი). ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლების თბილისის ინსტიტუტის ქირურგიის პროფესორმა დ. ვ. მამამთავრიშვილმა დაამთავრა თვალის ბუდის სიმსივნეთა მკურნალობის ახალი მეთოდების მრავალი წლის მანძილზე შესწავლის შედეგებისადმი მიძღვნილი შრომა. ავტორმა საქმიანობა მეცნიერებაში პირველად აპოვნა ცოცხალი ადამიანის თვალის ბუდის სიღრმის განსაზღვრის წესი და გააკეთა დიდი მკინავრული და პრაქტიკული მნიშვნელობის დასკვნები.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტის უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ მეცნიერის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მიანიჭა.

აკადემიკოს ი. ა. ჯავახიშვილის გამოუქვეყნებელი ნაშრომი

საქართველოს მუზეუმთან არსებულმა აკადემიკოს ი. ა. ჯავახიშვილის სახელობის კაბინეტმა გამოსაცემად მოამზადა და დასაბეჭდად გადასცა განსვენებული მეცნიერის ერთ-ერთი გამოუქვეყნებელი ნაშრომი.

ამ ნაშრომს ეწოდება „სინას მონასტრის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა".

მისი ისტორია ასეთია: ჯერ კიდევ 1902 წელს აკადემიკოსი ნ. ი. მარი და ი. ა. ჯავახიშვილი ეწვივნენ სინის მონასტერს, რომელიც საშუალო საუკუნეთა საერთაშორისო კულტურის ერთ-ერთ ცენტრს წარმოადგენს და შეადგინეს იქ დაცული მრავალი ქართული ხელნაწერის აღწერა.

1940 წელს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ გამოუშვა „აღწერილობის" ერთი ნაწილი, შედგენილი აკადემიკოს ნ. ი. მარის მიერ.

წელს აკადემიკოს ი. ა. ჯავახიშვილის სახელობის კაბინეტის გამგემ—განსვენებული მეცნიერის ქალიშვილმა ნატალია ივანეს-ასულმა ჯავახიშვილმა დასაბეჭდად გაამზადა „აღწერილობის" მეორე ნაწილი, რომელშიაც დართულია აქვს სათანადო სამეცნიერო მასალა და საძიებელი. „აღწერილობის" მეორე ნაწილის მოცულობა 15 ნაბეჭდ თაბახს აღემატება.

ამ ნაშრომს დიდი მნიშვნელობა აქვს მეცნიერებისათვის. (საქდეპი).

კალენდარი

ოქტომბერი 19 ხუთშაბათი

1812—ნაპოლეონის არმია იძულებული გახდა დაეტოვებინა მოსკოვი.

1943—მოსკოვში დაიწყო სამი მოკავშირე სახელმწიფოს — საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელთა (ვ. მ. მოლოტოვი, კორდელ ჰული, ანტონი იდენი) კონფერენცია („სამი მინისტრის კონფერენცია").

ნარევი

სიცოცხლის დროებითი შეჩერება

1913 წელს გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი ბახმეტიევი, რომელმაც დაამტკიცა, რომ შეიძლება ბევრი პატარა ცხოველის გაყინვა და შემდეგ ნელნელა გათბობით ისევ გაცოცხლება. ის ამბობდა: მალე იმასაც მივაღწევთ, რომ ზამთრობით ფუტკრებს გავყინავთ (თაფლს რომ არ შეჭამონ), ზაფხულში კი გავათბობთ და გავაცოცხლებთ.

1936 წელს აი ასეთი ცდები ჩატარდა ასტრახანის მახლობლად: წყალში დაცურავდა ხუთი ზუთხი, წყალი თანდათან გააცივეს და ნოლ გრადუსზე დაიყვანეს. ზუთხები აღარ იძროდნენ და აღარც სუნთქავდნენ. ამოიღეს ზუთხები და ყინულზე დაიწყეს, შემდეგ ყუთში ჩაალაგეს. 28 საათის შემდეგ გახსნეს ეს ყუთი და გაყინული ზუთხები წყალში გადაყარეს. იცით, რა მოხდა? ცოტა ხნის შემდეგ ოთხი ზუთხი გაცოცხლდა.

სარატოვში გაყინეს თევზები, ყინულში ჩაიწყვეს და აეროპლანით გაგზავნეს მოსკოვში. გაყინვიდან 52 საათის შემდეგ ჩაყარეს ეს თევზები აკვარიუმში და... ისინი გაცოცხლდნენ.

უძველესი ადამიანები

ჩრდილო ლაპლანდიაში გაზრდილია ქვის ხანის ადამიანთა ოცდაათზე მეტი სოფელი. ეს ადამიანები ჩვენს ერამდე სამიათასი წლის წინათ ცხოვრობდნენ. ვაანბრებვი ვეიჩვენებს, რომ იმ დროის სკანდინავიის ჰავა ბევრად უფრო თბილი იყო, ვიდრე დღეს, იქ თურმე ყურძენიც კი ხარობდა.

25 ოქტომბერს იწყება ფულისა და ნივთების მეოთხე ლატარიის ბილეთების გავრცელება

25 ოქტომბერს იწყება ფულისა და ნივთების მეოთხე ლატარიის ბილეთების გავრცელება. სახსრები მოხმარდება სამხედრო საჭიროებებს, გერმანელი ოკუპანტებისაგან განთავისუფლებულ რაიონებში მეურნეობისა და კულტურულ დაწესებულებათა აღდგენას.

პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ პროფკავშირულ ორგანიზაციებს წინადადება მისცა აქტიური მონაწილეობა მიიღონ ლატარიის ბილეთების გავრცელებაში მუშებს, მოსამსახურეებსა და დიასახლისებს შორის, გამოჰყონ პროფკავშირული აქტივისტები სახელმწიფო კრედიტისა და სანემნახველო საქმის ხელშემწყობ კომისიების დასახმარებლად და მოაწყონ ფულისა და ნივთების მეოთხე ლატარიის ბილეთების მოგებათა შემოწმება. ბილეთების გავრცელება უნდა ჩატარდეს სრული ნებაყოფლობის საფუძველზე. (საქდეპი).

საზღვარგარეთ

ამერიკის თვითმფრინავები თავს დაესხნენ კელნსა და კასელს

ლონდონში ოფიციალურად გამოცხადდა, რომ 18 ოქტომბერს ამერიკის მე-8 საჰაერო კორპუსის შემადგენლობის 550-ზე მეტი ბომბდამშენი 500-მდე აგიაგამანადგურებლის თანხლებით თავს დაესხა სამრეწველო ობიექტებსა და მამხარისხებელ სადგურებს კელნსა და კასელის რაიონებში.

საომარი მოქმედება დასავლეთ ევროპაში

ლონდონი, 18 ოქტომბერი. (საქდეპი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში ნათქვამია:

შელდის რაიონში, სადაც გერმანელთა ნაწილები გარშემორტყმული არიან, მოკავშირეთა ჯარებმა მიაღწიეს ეიზენდეკეს. მოკავშირეთა ჯარებმა მიაღწიეს ვენრაის გარეუბნებს, სადაც გრძელდება გააფთრებული ბრძოლები. სხვა რაიონში, სამხრეთ-დასავლეთით, მოკავშირეთა ნაწილებმა გადასჭრეს ვენრაი-ბოქსმეერის გზა.

გამანადგურებელი ბომბდამშენები აქტიურობას იჩენდნენ ურცელი რაიონის თავზე ჰოლანდიისა და დასავლეთ გერმანიაში და დაბომბეს რკინიგზის ობიექტები. თავდასხმები მოხდა აგრეთვე მოწინააღმდეგის სხვა ობიექტებზე.

მოკავშირეთა ჯარები მოწინააღმდეგისაგან სწმენდნენ აახენის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე რაიონს. ისინი მჭიდრო რკალად შემოერტყნენ ქალაქს, სადაც ბრძოლები გრძელდება თითოეული სახლისათვის. აახენის ჩრდილო-დასავლეთით მოკავშირეთა ჯარებმა მოწინააღმდეგისაგან გასწმინდეს ზიგფრიდის ხაზის ზოგიერთი უბანი.

მოზელის ხეობაში ბრძოლები გრძელდება მეზიერ-ლე-მეცში. 1,300-ზე მეტი მძიმე ბომბდამშენი 800 გამანადგურებლის თანხლებით თავს დაესხა სამხედრო ობიექტებს კელნში.

პ/მგ. რედაქტორი ი. ლავრუხინი
პ/მგ. რედაქტორის მოადგილე
ვ. დარასელი